EAST EUROPEAN UNIVERSITY



EEU

გამოცდების ჩატარების წესი

დამტკიცებულია რექტორის 2025 წლის 23 ივლისის N 12/01-01 ბრძანებით

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) გამოცდების ჩატარების წესი (შემდგომში - წესი) ადგენს უნივერსიტეტში შუალედური, დასკვნითი/დამატებითი, მისაღები და სხვა გამოცდების ჩატარების, ასევე შეფასებების შედეგების აპელაციის ერთიან წესებსა და პროცედურებს.
2. წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესი სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთეულისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტებისთვის. ასევე, უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი კონკურსანტების/პირებისთვის.

მუხლი 2. მიზანი

1. წესის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის გამართული ორგანიზება და გამოცდების სამართლიან, თანასწორ, ობიექტურ გარემოში ჩატარება.
2. უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

   ა) სამართლიანობა - გამოსაცდელი პირის შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი შეფასებების მეთოდებითა და კრიტერიუმებით, რომელის შესახებაც ინფორმირებულია გამოსაცდელი პირი;

   ბ) თანასწორობა - გამოცდებზე გამოსაცდელი პირები არიან თანაბარ პირობებში, გამორიცხულია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია;

   გ) ობიექტურობა - საგამოცდო ნაშრომის შეფასება ხდება წინასწარ დაგეგნილი კრიტერიუმებით და გამორიცხულია სუბიექტივიზმი; უზრუნველყოფილია წერითი საგამოცდო ნაშრომების ანონიმურობა და საგამოცდო შეფასების გასაჩივრება.

მუხლი 3. გამოცდების ადმინისტრირება

1. სწავლების ყველა საფეხურზე სემესტრული შუალედური, დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდები, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მისაღები, ენის ფლობის დონის დამადასტურებელი, უცხო ენის გამოცდები გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისათვის ტარდება ცენტრალიზებულად

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის (შემდგომში - საგამოცდო ცენტრი/ცენტრი) მიერ;

2. სწავლების ყველა საფეხურზე სემესტრული შუალედური, დასკვნითი/დამატებითი ზეპირი გამოცდები ტარდება შესაბამისი ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტის) ადმინისტრირებით საგნის პედაგოგის/შესაბამისი კომისიის მიერ;
3. წერითი გამოცდები შესაძლოა ჩატარდეს როგორც ფურცელზე, ასევე ელექტრონულად მუდლის (Moodle) პლატფორმის საშუალებით;
4. ჯანდაცვის ფაკულტეტზე - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)/ ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) ტარდება ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული „კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ცენტრის დებულების“ შესაბამისად.

თავი II სემესტრული გამოცდის ადმინისტრირება

მუხლი 4. შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგი

1. გამოცდების განრიგის ფორმირებას, ფაკულტეტთან კონსულტაციების შედეგად, უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი.
2. შუალედური გამოცდების განრიგი ქვეყნდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში – EEU-EL (შემდგომში - EEU-EL), სწავლის დაწყებიდან 6 კვირის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღით ადრე.
3. გამოცდის აღდგენა/გადატანა არ ხდება, გარდა წინამდებარე წესით დადგენილი შემთხვევებისა;
4. გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტმა წინასწარ დადგენილ ვადაში EEU-EL -ის მეშვეობით განცხადებით უნდა მიმართოს წერითი გამოცდის შემთხვევაში - საგამოცდო ცენტრს, ხოლო ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული ზეპირი გამოცდის შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანს და წარადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა/დოკუმენტი, რომელზეც მითითებული იქნება შესაბამისი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ დაინიშნება გამოცდების აღდგენის განრიგი და გამოქვეყნდება EEU-EL -ში.

მუხლი 5. დასკვნით/დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება

1. საბაკალავრო, სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ, თუ შუალედურ შეფასებაში მაქსიმალური 70 ქულის შემთხვევაში დააგროვებენ არანაკლებ 26 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 21 ქულას, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
2. სადოქტორო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ, თუ შუალედურ შეფასებაში მაქსიმალური 70 ქულის შემთხვევაში დააგროვებენ არანაკლებ 36 ქულას, ხოლო მაქსიმალური 60 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 31 ქულას თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
3. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს:
   ა) სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს 41 - 50 ქულას;
   ბ) სტუდენტს, რომელმაც ვერ გადალახა დასკვნით გამოცდისათვის განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 50% და მისი ქულათა ჯამი შეადგენს არანაკლებ 41 ქულას.

მუხლი 6. შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების/ბილეთების წარმოდგენა

1. საგნის პედაგოგი ვალდებულია, წერითი გამოცდის საკითხები ან ბილეთები, არანაკლებ სამი ვარიანტისა, გამოცდების დაწყებამდე ორი კვირის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამი დღით ადრე წარადგინოს საგამოცდო ცენტრის ან ცენტრის მიერ ფაკულტეტთან შეთანხმებით განსაზღვრულ ფაკულტეტის უფლებამოსილ თანამშრომელთან. ეს უკანასკნელი ვალდებულია, პედაგოგისგან მიღებული საკითხები ან ბილეთები გადასცეს საგამოცდო ცენტრს მიღებიდან გონივრულ ვადაში.
2. ცენტრი ვალდებულია, კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზება გაუწიოს პედაგოგების მიერ ფაკულტეტებზე საკითხების/ბილეთების დროულად წარმოდგენის პროცესს, ჩაიბაროს ისინი შესაბამისი პირისაგან, არ გაამჟღავნოს შინაარსი და უზრუნველყოს მათი გამრავლება გამოცდებისთვის.
3. წარმოდგენილი საკითხები/ბილეთები, უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას.
4. ბილეთის ფორმას, მასში საკითხების ოდენობასა და შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს პედაგოგი, საგნის სილაბუსის შესაბამისად;
5. საგამოცდო საკითხებს/ბილეთებს თან უნდა ახლდეს პედაგოგის მიერ შევსებული

დანართი №1–ით დამტკიცებული ფორმულარი.

6. საგამოცდო საკითხების ან/და კომბინირებული ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში (საგამოცდო კაზუსები, ამოცანები, განტოლებები ან სხვა მსგავსი ტიპის დავალებები), პედაგოგი ვალდებულია, დაურთოს ბილეთის ფორმირების ინსტრუქცია.

მუხლი 7. შუალედური და დასკვნითი საგამოცდო ნაშრომების გასწორება, შედეგების გამოქვეყნება

1. ცენტრი ვალდებულია, დასკვნითი/შუალედური გამოცდის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების გადაცემა შესაბამისი ფაკულტეტებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმალობაში უზრუნველყოს პედაგოგისათვის საგამოცდო ნაშრომების მიწოდება და გასწორების შემდეგ ჩაიბაროს ისინი.
2. პედაგოგი ვალდებულია:

   ა) შუალედური/დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო ორი სამუშაო დღისა შესაბამისი ფაკულტეტისაგან ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები გასასწორებლად/ელექტრონულად ჩატარებული გამოცდის შემთხვევაში შეამოწმოს საკუთარი ანგარიშიდან.

   ბ) გაასწოროს ნაშრომები მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და არაუგვიანეს მეექვსე დღის 12 საათისა წარადგინოს/ასახოს შეფასებები.

   გ) შუალედური გამოცდის შედეგები განიხილოს სტუდენტებთან სააუდიტორიო მეცადინეობის განახლებიდან პირველივე კვირაში;

   დ) ზეპირი გამოცდის შემთხვევაში, გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, წარუდგინოს ფაკულტეტის უფლებამოსილ თანამშრომელს სტუდენტთა შეფასებები;
3. ცენტრი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს გასწორებული ნაშრომების/შეფასების დროულ წარმოდგენას და მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში EEU-EL-ში შედეგების ასახვას პასუხისმგებელი პირის მიერ.
4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს ზეპირ გამოცდებში სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებების დროულ წარმოდგენას და მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში შედეგები ასახოს EEU-EL-ში;

მუხლი 8. შუალედური და დასკვნითი შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში EEU-EL -ის პირადი გვერდიდან განცხადებით მიმართოს საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს წერითი ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.
2. ცენტრი ვალდებულია, უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის

ვადაში სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობა. ნაშრომის ნახვის შემდეგ, თუ სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, ნაშრომი გადასინჯვის მიზნით გადაეცემა შესაბამის პედაგოგს ნაშრომის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

3. პედაგოგი ვალდებულია, 2 სამუშაო დღის ვადაში საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელთან დააბრუნოს აპელაციის დასკვნა, რომელშიც ასახული უნდა იყოს სტუდენტის შეფასების შეცვლის ან არშეცვლის საფუძვლები;
4. უფლებამოსილი პირი ვალდებულია, აპელაციის შედეგები ასახოს EEU-EL-ში მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა;
5. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება, აპელაციის შედეგს, უფლებამოსილია, აპელაციის შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის განმავლობაში EEU-EL-ის საშუალებით, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს ნაშრომის გასწორება შესაბამისი სააპელაციო კომისიის მიერ;
6. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ;
7. ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შექმნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან სასწავლო კურსის/კურსების სააპელაციო კომისია და გადასცეს საგამოცდო ნაშრომი/ები;
8. სააპელაციო კომისია მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საგამოცდო ნაშრომს/ებს და აპელაციის დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს;
9. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება. სააპელაციო კომისიის დასკვნაში ასახული უნდა იყოს სტუდენტის შეფასების შეცვლის ან არშეცვლის საფუძვლები;
10. ფაკულტეტი ვალდებულია, სააპელაციო კომისიის შედეგები გააცნოს სტუდენტს და საგამოცდო ცენტრს და შეფასების ცვლილების შემთხვევაში ასახოს EEU-EL-ში, მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
11. დოქტორანტი, რომელიც არ ეთანხმება სადოქტორო სემინარის შუალედურ ან/და საბოლოო შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში, წერილობით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს მიღებული შეფასება. დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები.
12. დოქტორანტის საჩივრის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შემადგენლობას, რომელიც უნდა შედგებოდეს შესაბამისი მიმართულების (დარგის, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის არანაკლებ 3 წევრისაგან.

13. სააპელაციო კომისიის წევრები სადოქტორო სემინარის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში ინდივიდუალურად აფასებენ სადოქტორო სემინარის წერით კომპონენტს, კურსის სილაბუსით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, და ადგენენ დასკვნას სადოქტორო სემინარის შინაარსობრივი მხარის შეფასების შეცვლის ან უცვლელად დატოვების თაობაზე.
14. თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ სადოქტორო სემინარის წერითი კომპონენტის შინაარსობრივი მხარის საბოლოო შეფასება იცვლება დოქტორანტის სასარგებლოდ და მას გასაჩივრებული აქვს სადოქტორო სემინარის საბოლოო შეფასებაც, ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით, ინიშნება სადოქტორო სემინარის ზეპირი კომპონენტის (სადოქტორო სემინარის საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის) შეფასების თარიღი. სადოქტორო სემინარის საბოლოო შეფასება წარმოადგენს წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასებისა და ზეპირი კომპონენტის საბოლოო შეფასების ჯამს, რომელიც გამოიანგარიშება ქულათა საშუალო არითმეტიკულით (წერით და ზეპირ კომპონენტებში მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
15. ფაკულტეტი ვალდებულია, შეფასების ცვლილება აცნობოს დოქტორანტს და ასახოს EEU-EL-ში, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
16. დოქტორანტი, რომელიც არ ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტში მიღებულ შუალედურ/დასკვნით შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში, წერილობით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს მიღებული შეფასება. სტუდენტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები.
17. პრაქტიკული კომპონენტის შუალედური/დასკვნითი შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივრის განხილვის ფორმატის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის დეკანი, გასაჩივრებული კომპონენტის შინაარსისა და სტუდენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 9. შეფასებების აღრიცხვა EEU-EL-ში

1. ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს შესაბამის ფაკულტეტზე ჩატარებული გამოცდების შეფასებების აღრიცხვას EEU-EL-ში;
2. ფაკულტეტი ვალდებულია, დასკვნითი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე სამი დღით ადრე დაასრულოს შუალედური შეფასებების შეტანა EEU-EL-ში, რომელიც აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე დაიხურება.
3. იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ ვადაში EEU-EL-ში არ იქნა შეტანილი შუალედური შეფასებები, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი,

ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით წარუდგენს ახსნა-განმარტებით ბარათს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსს, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

4. თუ EEU-EL-ში, შუალედური შეფასებების შეტანის ვადის ამოწურვის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მონაცემების შეტანის დროს დაშვებულია შეცდომა, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია, ახსნა-განმარტებითი ბარათით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ფაკულტეტი ვალდებულია, აღნიშნული ცვლილების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსს.
5. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასებების გამოქვეყნება მანამ, სანამ EEU-EL-ში არ იქნება დაფიქსირებული საგნის შუალედური შეფასებები, ხოლო კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში გამოცდის ზეპირი კომპონენტის შეფასებები.

მუხლი 10. კომბინირებული გამოცდა

1. საგნებში, რომლის გამოცდა შედგება წერითი და ზეპირი კომპონენტისაგან, გამოცდის ზეპირი კომპონენტის ჩატარებას ფაკულტეტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პედაგოგი.
2. გამოცდის ზეპირი კომპონენტი წინ უნდა უსწრებდეს წერით კომპონენტს. ზეპირი კომპონენტის შეფასების წილი არ შეიძლება, აღემატებოდეს გამოცდის ორივე კომპონენტის შეფასებათა ჯამის ნახევარზე მეტს.

მუხლი 11. გამოცდების შედეგების გადამოწმება

1. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, გამოცდების შედეგების გადამოწმების მიზნით, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში/ფაკულტეტის დეკანის/საგამოცდო ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით, შესაძლებელია, შეიქმნას კომისია;
2. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრი შეიძლება იყოს მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი, ან დარგის ექსპერტი, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას საგამოცდო ნაშრომის გასწორებასა და მის აპელაციაში;
3. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა არ არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა– უფლებამოსილება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;
4. ამ მიზნით შექმნილი კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაწერებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
5. ამ მიზნით შექმნილი კომისია ექვემდებარება რექტორს და ანგარიშვალდებულია მის

წინაშე.

მუხლი 12 საგამოცდო ბილეთების გადამოწმება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოთხოვნის შემთხვევაში, დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთები/საკითხები შემდგომი რეაგირებისათვის გადასცეს მას.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთების/საკითხების შესაბამისობა საგნის სილაბუსთან, წარუდგინოს დასკვნა რექტორს და, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

თავი III მისაღები და სხვა გამოცდები

მუხლი 13. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდები

1. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები წერითი გამოცდები ტარდება უცხო ენაში;
2. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლოა, წერითი გამოცდა ჩატარდეს სპეციალობაში;
3. მისაღები გამოცდების განრიგი და შესაბამისი ტესტის ნიმუშები/საგამოცდო საკითხები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდამდე არანაკლებ 3 კვირით ადრე;
4. ცენტრი ვალდებულია, უნივერსიტეტში გამოცდის დასრულების შემდეგ, რექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ ვადებში, უზრუნველყოს მისაღები საგამოცდო ნაშრომების გადაცემა შესაბამისი საგამოცდო კომისიის წევრებისათვის, ჩაიბაროს გასწორებული საგამოცდო ნაშრომები და შედეგები მიაწოდოს შესაბამის სამსახურს დადგენილ ვადებში უნივერსიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად.
5. მიმღები საგამოცდო კომისია ვალდებულია, გასწორებული საგამოცდო ნაშრომები/ზეპირი გამოცდის შედეგები დადგენილ ვადებში დაუბრუნოს/გადასცეს ცენტრს;
6. დოქტორანტობის/მაგისტრანტობის კანდიდატი უფლებამოსილია, სააპელაციო განაცხადების მიღებისათვის დადგენილ ვადებში უნივერსიტეტში წარადგინოს განცხადება და მოითხოვოს მიღებული შედეგების გადასინჯვა.
7. ცენტრი ვალდებულია, სააპელაციო განაცხადების განხილვისათვის დადგენილ ვადებში გადასცეს განსახილველი ნაშრომები შესაბამის სააპელაციო კომისიას/საბჭოს, ჩაიბაროს

აპელაციის დასკვნა და შედეგები მიაწოდოს შესაბამის სამსახურს დადგენილ ვადებში ვებგვერდზე განსათავსებლად.

მუხლი 14. ინგლისურენოვან პროგრამებზე ენის კომპეტენციის დადასტურების გამოცდები

1. ინგლისურენოვან პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება გამოცდა ინგლისურ ენაში;
2. გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი;
3. გამოცდის განრიგი და შესაბამისი ტესტის ნიმუში ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე;
4. ცენტრი ვალდებულია, გამოცდის დასრულების შემდეგ, 1 დღის ვადაში უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების გადაცემა გამსწორებლებისათვის/კომისიის წევრებისათვის, არაუგვიანეს 2 დღის ვადაში ჩაიბაროს გასწორებული საგამოცდო ნაშრომები და შედეგები მიაწოდოს შესაბამის ფაკულტეტს/სამსახურს;
5. საგამოცდო კომისია ვალდებულია, გასწორებული საგამოცდო ნაშრომები/ზეპირი გამოცდის შედეგები დადგენილ ვადებში დაუბრუნოს ცენტრს
6. პირი უფლებამოსილია, შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში სააპელაციო განაცხადებით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს მიღებული შედეგების გადასინჯვა.
7. ცენტრი ვალდებულია, სააპელაციო განაცხადების განხილვისათვის დადგენილ ვადებში გადასცეს განსახილველი ნაშრომები შესაბამის სააპელაციო კომისიას, ჩაიბაროს აპელაციის დასკვნა და შედეგები მიაწოდოს შესაბამის ფაკულტეტს/სამსახურს;

მუხლი 15. ენის გამოცდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისათვის

1. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის, საჭიროების დადგენის შემთხვევაში, ტარდება გამოცდა ინგლისურ ენაში;
2. გამოცდის/ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი;
3. გამოცდის განრიგი და შესაბამისი ტესტის ნიმუში ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე;
4. ცენტრი ვალდებულია, გამოცდის დასრულების შემდეგ, 1 დღის ვადაში უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების გადაცემა ინგლისური ენის გამოცდის კომისიის წევრებისათვის/გამსწორებლებისთვის, არაუგვიანეს 2 დღის ვადაში ჩაიბაროს გასწორებული ნაშრომები და შედეგები მიაწოდოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს;
5. საგამოცდო კომისია/გამსწორებელი ვალდებულია, გასწორებული საგამოცდო

ნაშრომები/ზეპირი გამოცდის შედეგები დადგენილ ვადებში დაუბრუნოს ცენტრს;

6. სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში სააპელაციო განაცხადებით მიმართოს ცენტრს და მოითხოვოს მიღებული შედეგების გადასინჯვა.
7. ცენტრი ვალდებულია, სააპელაციო განაცხადების განხილვისათვის დადგენილ ვადებში გადასცეს განსახილველი ნაშრომები შესაბამის კომისიას, ჩაიბაროს აპელაციის დასკვნა და შედეგები მიაწოდოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

მუხლი 16. უცხო ენის დონის განმსაზღვრელი გამოცდა სტუდენტებისათვის

1. სტუდენტებისათვის ენის ფლობის დონის დადგენის მიზნით ტარდება გამოცდა უცხო ენაში;
2. ცენტრი ვალდებულია, გამოცდის დასრულების შემდეგ, 1 დღის ვადაში უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების გადაცემა ენების ცენტრისათვის;
3. ენების ცენტრი ვალდებულია, გასწორებული საგამოცდო ნაშრომები ორი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საგამოცდო ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების გაცნობას სტუდენტებისთვის.
4. სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში სააპელაციო განაცხადებით მიმართოს საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს მიღებული შედეგების გადასინჯვა.
5. საგამოცდო ცენტრი სააპელაციო განაცხადების განხილვისათვის დადგენილ ვადებში გადასცემს განსახილველ ნაშრომებს ენების ცენტრს და იბარებს აპელაციის შედეგებსა და დასკვნას არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
6. სააპელაციო ვადის/პროცედურების დასრულების შემდეგ საგამოცდო ცენტრი წარუდგენს სტუდენტთა სია შესაბამისი ენის დონის მითითებით უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 17. გამოცდის მსვლელობა

1. სტუდენტი/პირი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 15 წუთით ადრე;
2. დასკვნითი/დამატებითი წერითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3საათი, ხოლო შუალედური გამოცდის - 2 საათი, თუ საგნის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული მისაღები/საკონკურსო/ენის დონის განმსაზღვრელი გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი;

4. გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიაში უნდა განთავსდეს საათი, სტუდენტთა/კონკურსანტთა მიერ დროის მართვის მიზნით.
5. დამკვირვებელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი ან ხელშეკრულებით მოწვეული პირი. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე წესის მე-16 მუხლით. დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდის მსვლელობისას დაიცვას აღნიშნული წესები და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.
6. დამკვირვებელი ექვემდებარება საგამოცდო ცენტრის უფროსს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
7. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, იმოქმედოს წინამდებარე წესის მე- 19 მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

თავი IV დამკვირვებელთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობები

მუხლი 18. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე.
2. დამკვირვებელი ვალდებულია, სტუდენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე დაიკავოს მისთვის განკუთვნილი ადგილი.
3. მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაიკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს, უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი გადასცემს დამკვირვებელს საგამოცდო ბილეთებს (გამოცდების ქაღალდზე დაწერის შემთხვევაში), სექტორის უწყისს;
   3.1. დამკვირვებელი თავის სექტორში, უწყისის შესაბამისად, არიგებს საგამოცდო ფურცლებს.
   3.2. დამკვირვებელი სტუდენტებს აცნობს უფლება-მოვალეობებს.
   3.3. დამკვირვებლის მიერ საგამოცდო ბილეთების სრულად დარიგებისა და სტუდენტთათვის უფლება-მოვალეობების გაცნობის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა.
4. ელექტრონულად გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი გადასცემს დამკვირვებელს სექტორის უწყისსა და სტუდენტთათვის პაროლს საგამოცდო ტესტის გასახსნელად:
   4.1. დამკვირვებელი სტუდენტებს აცნობს უფლება-მოვალეობებს, ასევე ელექტრონულ სისტემაში შესვლისა და სისტემიდან გამოსვლის წესებს;
   4.2. დამკვირვებელი თავის სექტორში, უწყისის შესაბამისად, დაფაზე წერს

ტესტის/ვარიანტის პაროლს;

4.3. დამკვირვებლის მიერ სტუდენტთათვის უფლება-მოვალეობების გაცნობის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა.

5. დამკვირვებელი ვალდებულია, დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში (ხმაური, საუბარი და ა.შ.) მისცეს გაფრთხილება სტუდენტს ხოლო განმეორებითი გაფრთხილებისას, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის, მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს აღმოჩენის/სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან.
6. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ბილეთს და საგამოცდო ფურცლებს. საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას - ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, აფიქსირებს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისშიც და აწერს ხელს.
7. ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის შემთვევაში, სტუდენტი წყვეტს პროგრამაში მუშაობას და აგზავნის ნაშრომს, დამკვირვებელი სექტორის უწყისში აკეთებს წარწერას –,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით.
8. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება.
9. დამკვირვებელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ მხოლოდ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას სხვა, არაპროცედურულ, ასევე საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებული შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება.
10. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში პრობლემის წარმოქმნისას, დამკვირვებელს არ აქვს სტუდენტთან კამათის უფლება, რაიმე კითხვის ან პრობლემის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, მიმართოს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს.
11. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ვალდებულია, შეატყობინოს სტუდენტებს ამის შესახებ.
12. დამკვირვებელი იბარებს საგამოცდო ფურცელს, საგამოცდო ბილეთს და ხელს აწერს ნაშრომის ბოლოს/ელექტრონული გამოცდის შემთხვევაში აკონტროლებს სტუდენტის მიერ ნაშრომის გაგზავნისა და პროგრამიდან გამოსვლის პროცესს.
13. დამკვირვებელი ყველა ნაწერის ჩაბარების/გაგზავნის შემდეგ თვითონაც აფიქსირებს საკუთარ ხელმოწერას საგამოცდო ნაშრომის სექტორის უწყისის ბოლოს და აღრიცხავს გამოცდაზე გამოცხადებული სტუდენტების რაოდენობას.
14. დამკვირვებელი საგამოცდო ნაშრომებს, საგამოცდო ნაშრომის უწყისს გადასცემს საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელს.
15. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დადგება დამკვირვებლის დისციპლინური

პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 19. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა/კონკურსანტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე;
2. სტუდენტი/კონკურსანტი ასევე დაიშვება გამოცდაზე 15 წუთით დაგვიანების შემთხვევაში, თუმცა გამოცდისთვის განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ მას არ მიეცემა დამატებითი დრო ნაშრომის დასასრულებლად.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებული დროის გასვლის შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება და ჩაეთვლება არ გამოცხადებად.
4. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოცდაზე არ დაიშვება.
5. სტუდენტმა/კონკურსანტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია, მიიღოს სექტორისა და მაგიდის ნომერი. იგი ვალდებულია, დარბაზში/აუდიტორიაში ადგილი დაიკავოს რეგისტრაციის ნომრის მიხედვით.
6. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები სტუდენტმა უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს.
7. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, მაგიდის კუთხეში დადოს პირადობის მოწმობა.
8. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი, გარდა სტუდენტის პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
9. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი მიიღებს გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ, ნებისმიერი სხვა დარღვევის (განმეორებით შენიშვნის მიღების, საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის, მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს აღმოჩენის ან სარგებლობის) შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
10. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, შეამოწმოს თავისი საგამოცდო ფურცელი/ელექტრონული საგამოცდო ტესტი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
11. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.

12. საგამოცდო ფურცელზე, ამისათვის განკუთვნილ ადგილას, სტუდენტმა/კონკურსანტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და ლექტორის/პედაგოგის სახელი და გვარი.
13. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის კალმით, მას ეკრძალება საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, გვარი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
14. სტუდენტი/კონკურსანტი ვალდებულია, არ გადაშალოს დამკვირვებლის მიერ დარიგებული საგამოცდო ბილეთი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.
15. სტუდენტს/კონკურსანტს უფლება აქვს, აუცილებლობის შემთვევაში, გამოცდისათვის გათვალისწინებული დროის ნახევრის ამოწურვის შემდეგ, მოითხოვოს აუდიტორიიდან გასვლა მხოლოდ 3 წუთის ხანგრძლივობით. აუდიტორიის დატოვების უფლება ყოველ მომდევნო სტუდენტს/კონკურსანტს ექნება გასული სტუდენტის დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული დროის დარღვევის შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.
16. ელექტრონულად მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია, ტესტის/გამოცდის დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს, ნაშრომი წარადგინოს და პროგრამიდან გამოვიდეს დამკვირვებლის მეთვალყურეობის ქვეშ.
17. თუ სტუდენტი/კონკურსანტი დროზე ადრე დაიწყებს საგამოცდო ბილეთზე მუშაობას, მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში - მოიხსნება გამოცდიდან.
18. საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა/კონკურსანტმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს.
19. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი, გადალაპარაკება, ხმაური, ასეთ შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
20. აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა. ამ შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.
21. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება, გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა/არაეთიკური ქცევა.
22. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს/კონკურსანტებს ამის შესახებ. თუ სტუდენტი/კონკურსანტი საგამოცდო

დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას, მისი ნაშრომი არ გასწორდება;

23. სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები სტუდენტმა/კონკურსანტმა უნდა გადასცეს დამკვირვებელს და მოაწეროს ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.

თავი V დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს, მასში ცვლილებები და დამატებები შეაქვს და ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. გამოცდებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ რეგულირდება მოცემული წესით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. წინამდებარე წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

დანართი N1

საგნის პედაგოგის ფორმულარი

ფაკულტეტი _____

საგნის დასახელება _____

პედაგოგის სახელი, გვარი _____

ტელეფონი (სახლის, სამსახურის, მობილური) _____

ელექტრონული ფოსტა _____

გამოცდის სახე წერითი, წერითი + ზეპირი

(გაუსვით ხაზი)

წერითი გამოცდის ფორმატი საკითხი, ტესტი (ღია, დახურული), ამოცანა, კაზუსი, სხვა

_____

(გაუსვით ხაზი. კომბინირებულიბილეთის შემთხვევაში გაუსვითხაზიყველაკომპონენტს)

გამოცდის მაქსიმალური შეფასება_____

როგორია ნაშრომის შეფასების სისტემა (როგორ ნაწილდება შეფასება ბილეთის/ტესტის თითოეულ კომპონენტზე)

_____

_____

გამოცდის ხანგრძლივობა _____

რისი გამოყენების უფლება აქვს სტუდენტს გამოცდაზე:

კალკულატორი, ლექსიკონი, კოდექსი, სხვა _____

(გაუსვით ხაზი)

არის თუ არა საჭირო AcadNusx, Sylfaen–ის გარდა რომელიმე სპეციფიკური შრიფტი საგამოცდო ბილეთისათვის (თუ - კი, მიუთითეთ) _____

დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიზანშეწონილია, ვიცოდეთ გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით _____

_____

_____

_____

_____

პედაგოგის ხელმოწერა _____ თარიღი _____